დანართი

პროფესიული უნარების გამოცდა

ტესტურ დავალებათა შეფასების ზოგადი კრიტერიუმები

არჩევითპასუხებიანი დავალებები

არჩევითპასუხებიანი დავალებები შედგება პირობის, შეკითხვისა და სავარაუდო პასუხებისაგან, ან მხოლოდ შეკითხვისა და სავარაუდო პასუხებისაგან. ტესტში მოცემულ არჩევითპასუხებიან დავალებებს ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს და მათგან სწორი მხოლოდ ერთია. ასეთი ტიპის დავალება ფასდება 1ქულით.

შესაბამისობის დავალება

შესაბამისობის დავალება მოცემულია ცხრილის სახით, რომელიც ორი სვეტისაგან შედგება. ერთ სვეტში მოცემულია დავალების პირობა (მაგ.: დებულება, მოვლენა, სიტუაცია და სხვ.), ხოლო მეორეში კი - სავარაუდო პასუხები (მაგ.: ცნებები, მიდგომები, სტრატეგიები, ავტორები და სხვ.). დავალებაში 1 ქულა იწერება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოსაცდელი სვეტებში მოცემულ ინფორმაციას ერთმანეთს სწორად შეუსაბამებს.

ღია დავალება

იმისათვის, რომ გამოსაცდელის პასუხი სრულფასოვნად, ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს:

- ის უნდა შეესაბამებოდეს დავალებაში მოცემულ საკითხს.
- დავალების პირობა სწორად უნდა იყოს გააზრებული.
- ის არ უნდა წარმოადგენდეს დავალების პირობის პერიფრაზს.
- დავალება შესრულებული უნდა იყოს გასარჩევი ხელწერით.

თუ რომელიმე პირობა არ იქნება დაცული, ნაწერი შეფასდება 0 ქულით.

*დაცული უნდა იყოს სალიტერატურო ენის ნორმები.

- 4-ქულიანი ღია დავალებები შემდეგი ზოგადი რუბრიკის საფუძველზე სწორდება:

ქულა	აღწერა
4	პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა. მსჯელობა არის სრული, არგუმენტირებული, გამოსაცდელი გასაგებად და ამომწურავად უპასუხებს დავალების ყველა მითითებასა და კომპონენტს.
3	პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა. მთლიანობაში მსჯელობა სწორია, თუმცა არასრული - რომელიმე ერთ მითითებაზე პასუხი შედარებით სქემატურია.
2	პასუხში ჩანს საკითხის ნაწილობრივი ცოდნა. მსჯელობა არ არის სრული. აკლია დავალების პირობის რომელიმე კომპონენტი ან, ზოგადად, პასუხი ყველა მითითებაზე სწორია, მაგრამ სქემატური.
1	პასუხში ჩანს, რომ გამოსაცდელს აქვს საკითხის არასრული (ზედაპირული) ცოდნა, ან გამოსაცდელი სქემატურად უპასუხებს პირობაში მოცემულ მხოლოდ ერთ კომპონენტს.
0	გამოსაცდელი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს. დავალების პირობა ან/და შეკითხვა სწორად არ არის გააზრებული - ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს.

- **3-ქულიანი ღია დავალებები შემდეგი ზოგადი რუბრიკის საფუძველზე სწორდება:**

ქულა	აღწერა
3	პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა. მსჯელობა არის სრული, არგუმენტირებული, გამოსაცდელი გასაგებად და ამომწურავად უპასუხებს დავალების ყველა კითხვას/მითითებას.
2	პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა, თუმცა მსჯელობა არ არის სრული. აკლია დავალების პირობის ერთი რომელიმე კომპონენტი ან, ზოგადად, პასუხი ყველა მითითებაზე სწორია, მაგრამ სქემატური. აკლია სიცხადე.
1	პასუხში ჩანს, რომ გამოსაცდელს აქვს საკითხის არასრული (ზედაპირული) ცოდნა, ან გამოსაცდელი სქემატურად უპასუხებს პირობაში მოცემულ მხოლოდ ერთ კომპონენტს.
0	გამოსაცდელი ვერ უპასუხებს დავალების მოთხოვნებს. პირობა სწორად არ არის გააზრებული – ნაწერი არ შეესაბამება მოცემულ საკითხს.

სიტუაციის ანალიზი

დავალების შეფასების კრიტერიუმები

I კრიტერიუმი

N	შეცდომის აღმოჩენა	ქულა
1	შეცდომა ადეკვატურად არის იდენტიფიცირებული	1
2	შეცდომა არასწორად არის იდენტიფიცირებული ან არ არის აღმოჩენილი	0

II კრიტერიუმი

N	შედეგის განსაზღვრა	ქულა
1	სწორად არის განსაზღვრული დაშვებული შეცდომის უარყოფითი შედეგი	1
2	უარყოფითი შედეგი დასახელებული არ არის ან განსაზღვრულია არასწორად	0

III კრიტერიუმი

N	რეკომენდაცია	ქულა
1	რეკომენდაცია ადეკვატურია და მკაფიოდ არის ფორმულირებული	2
2	რეკომენდაცია ადეკვატურია, თუმცა ზოგადია ან/და სქემატურად არის ფორმულირებული	1
3	რეკომენდაცია არ არის ან არაადეკვატურია	0

(მაქსიმალური ქულა -12)

დავალების შეფასების ზოგადი კრიტერიუმები

I კრიტერიუმი

N	დადებითი მხარე	ქულა
1	დადებითი მხარე ადეკვატურად არის იდენტიფიცირებული და გაანალიზებული	2
2	დადებითი მხარე იდენტიფიცირებულია, მაგრამ არ არის გაანალიზებული	1
3	დადებითი მხარე არასწორად ან არ არის იდენტიფიცირებული	0

II კრიტერიუმი

N	უარყოფითი მხარე	ქულა
1	უარყოფითი მხარე ადეკვატურად არის იდენტიფიცირებული და გაანალიზებული	2
2	უარყოფითი მხარე იდენტიფიცირებულია, მაგრამ არ არის გაანალიზებული	1
3	უარყოფითი მხარე არასწორად ან არ არის იდენტიფიცირებული	0

III კრიტერიუმი

N	რეკომენდაცია	ქულა
1	რეკომენდაცია ადეკვატურია და მკაფიოდ არის ახსნილი	2
2	რეკომენდაცია ადეკვატურია, თუმცა ზოგადია ან/და სქემატურად არის ახსნილი	1
3	რეკომენდაცია არ არის ან არაადეკვატურია	0

ფუნქციური წერა *(მაქსიმალური ქულა - 8)*

დავალების შეფასების კრიტერიუმები

I კრიტერიუმი

N	მოთხოვნის ჩამოყალიბება	ქულა
1.	სათქმელი გასაგებად და ნათლად არის ჩამოყალიბებული	2
2.	სათქმელი არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული, ბუნდოვანია	1
3.	დავალების პირობა არ არის შესრულებული ან მოთხოვნა არაადეკვატურია	0

II კრიტერიუმი

N	მსჯელობის დასაბუთება	ქულა
1.	მოთხოვნა დამაჯერებლადაა არგუმენტირებული	2
2.	არგუმენტები სუსტი ან არადამაჯერებელია	1
3.	მოთხოვნა არგუმენტირებული არ არის	0

III კრიტერიუმი

N	ნაშრომის აგება	ქულა
1.	ნაწერი სტრუქტურულად გამართულია - აზრები მწყობრად, თანამიმდევრულად არის გადმოცემული, მსჯელობის ნაწილები ერთმანეთს ლოგიკურად უკავშირდება	1
2.	ნაწერი სტრუქტურულად გაუმართავია - აზრები არათანამიმდევრულადაა გადმოცემული, მსჯელობის ნაწილები ერთმანეთს ლოგიკურად არ უკავშირდება	0

IV კრიტერიუმი

N	სტილი, ლექსიკა	ქულა
1.	ნაწერი ლექსიკურად მდიდარია, სტილი გამართულია. შერჩეულია მოცემული თემის ადეკვატური ტონი	2
2.	ნაწერი ლექსიკურად შედარებით მწირია / სტილისტურად გაუმართავია ზოგიერთი მონაკვეთი / ნაწერის ტონი არ შეესაბამება მოცემულ თემას	1
3.	ლექსიკა ღარიბია, აზრები გაუგებარია, გვხვდება უხეში სტილისტური ხარვეზები.	0

V კრიტერიუმი

N	სინტაქსი, მორფოლოგია, პუნქტუაცია	ქულა
1.	არ არის დაშვებული 10 შეცდომაზე მეტი	1
2.	დაშვებულია 10-ზე მეტი შეცდომა	0

*თუ ნაშრომი 140 სიტყვაზე ნაკლები იქნება, არ გასწორდება ენობრივი - IV და V კრიტერიუმების მიხედვით.